ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 17-20

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 24 თებერვალი, 2020 წ.

ერთის მხრივ, **შპს ,,თეგეტა მოტორსი"** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ჟორა რუხაძის სახით, და მეორეს მხრივ, **შპს „ჯიარ ტრანზიტი“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩირაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების (შემდგომში - ზეთი ან/და ფილტრი) (CPV – 09200000, 42900000) შესყიდვა, ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის დასახელების, ტექნიკური მახასიათებლების, რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესახებ განისაზღვრება დანართი №1-ით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **218,00 (ორას თვრამეტი)** ლარს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი პრეისკურანტის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი №1).

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს, ხელშეკრულების „შესყიდვის ობიექტის“ შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მხარეთა ვალდებულებები

<u>4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

ბ) უზრუნველყოს „შესყიდვის ობიექტის“ შესაბამისობა მის მიერვე წარდგენილ შემსყიდველის ტექნიკურ დავალებასთან;
გ) მოახდინოს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის ჩანაცვლება შესაბამისი პროდუქციით;
დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
ე) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;
ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
<u>4.2. შემსყიდველი ვალდებულია:</u>
ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.
6.2. მიწოდების ადგილია შპს ,,თეგეტა მოტორსი''-ს სერვისცენტრი.
6.3. „შესყიდვის ობიექტთან“ ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.
6.4. პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.
6.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.
7.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას, რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.
7.3. საქონლის მიღებას აწარმოებს - შპს „ჯიარ ტრანზიტის“ თანამშრომელი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და გარანტია

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

8.2. კონტროლს განახორციელებს - შპს „ჯიარ ტრანზიტის“ თანამშრომელი.

8.3. საქონლის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას, აღნიშნული ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ, გონივრულ ვადაში (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან და/ან ნიმუშთან ერთად) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

9.2. ანგარიშსწორების ვადა - საქონლის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღე.

9.3. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

10. ფასები

10.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.7. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
11.8. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 23 მარტის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
13.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
შპს „ჯიარ ტრანზიტი“	**შპს „თეგეტა მოტორსი“**
მის.: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.15	მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5
ndzotsenidze@grtransit.ge	ელ. მის: stateunit@tegetamotors.ge
ტელ: 2 43 43 38	ტელ: 226 44 44
ს/კ:	ს/კ: 202177205
სს „თიბისი ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE68TB7764636070100001	ა/ა GE80TB0600000024467853
_____	_____
დირექტორი	სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
/დავით ჩირაძე/	/ჟორა რუხაძე/

Digitally signed by LLC GR Transit
Date: 2020.02.25 13:02:04 +04'00'

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
DN: cn=Tegeta Motors LLC, 2.5.4.97=NTRGE-202177205, o=••• •••••• •••••••, c=GE
Date: 2020.02.25 12:27:12 +04'00'

ხელშეკრულება № 17-20

დანართი #1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდ.	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
ზეთი	7 ლიტრი	16.00	112.00
ფილტრის ზეთი	1 ცალი	17.00	17.00
ფილტრი ჰაერის	1 ცალი	39.00	39.00
ფილტრი სალონის	1 ცალი	30.00	30.00
ფილტრი საწვავის	1 ცალი	20.00	20.00
		სულ ჯამი:	218.00